საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/76

ქ. ბათუმი 24 ოქტომბერი, 2017 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 11 ოქტომბრის N01-11/70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24–ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 11 ოქტომბრის N01-11/70 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-2 პუნქტის „გ"-„თ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) კონკურსის პირველი ეტაპი - **საკონკურსო საპროცედურო კომისიის მიერ** საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება/გადარჩევა - 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით;

გ) **კონკურსის მეორე ეტაპი - ტესტირება** (კონკურსანტის მიერ ანკეტაში მითითებული უცხო ენისა და საკონკურსო თემატიკის ცოდნის შესაფასებლად) - **2017 წლის 6 ნოემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით** პერიოდში (ტესტირების ზუსტი თარიღის, ადგილის და დროის შესახებ კონკურსანტს ეცნობება ერთი დღით ადრე, ავტობიოგრაფიაში მითითებული ელექტრონული მისამართის ან/და სატელეფონო შეტყობინების საშუალებით);

დ) **კონკურსის მესამე ეტაპი** - კონკურსანტის **გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან - 2017 წლის 16 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით** (გასაუბრების ზუსტი თარიღის, ადგილის და დროის შესახებ კონკურსანტებს ეცნობებათ ერთი დღით ადრე,

ავტობიოგრაფიაში მითითებული ელექტრონული მისამართის ან/და სატელეფონო შეტყობინების საშუალებით);

ე) **კონკურსის შედეგების გამოცხადება** ბსუ-ს ვებგვერდზე - **2017 წლის 21 ნოემბერი;**

ვ) **კონკურსის შედეგებზე სააპელაციო საჩივრის წარდგენა** - 2017 წლის 22 ნოემბერი (ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით, 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე პერიოდში, შესვენება 13:00-14:00 სთ-მდე);

ზ) **სააპელაციო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვა** - 2017 წლის 23 -24 ნოემბერი;

თ) **კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე** - 2017 წლის 27 ნოემბერი."

2. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. წინამდებარე ბრძანება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების და სამართლებრივი აქტების ველებში).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**